კომუნიკაციური პარტნიორის ტრენინგის მნიშვნელობა აფაზიის მქონე ადამიანის რეაბილიტაციაში

თამარ დავითელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მანანა გაბაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

აბსტრაქტი 4

ABSTRACT 5

შესავალი 6

- აფაზია 6
- კლასიფიკაცია 9

ლიტერატურის მიმოხილვა 13

- აფაზიის მქონე ადამიანის რეაბილიტაცია - კომუნიკაციური პარტნიორის ტრენინგი . 13

კვლევა 20

- კომუნიკაციური პარტნიორის ტრენინგი - საკვლევი საკითხი, კვლევის მიზანები და ამოცანები 20
- კვლევის ჰიპოთეზები 21
- საკვლევი ცვლადები 21
- კვლევის მონაწილეები 22
- მეთოდები 23
- კვლევის შეზღუდვები 23

ცხოვრების ისტორია 24

კვლევის შედეგების ანალიზი 30

- დისკუსია : აფაზიის შესახებ ცოდნა 30
- აფაზიის მქონე პირისა და მისი კომუნიკაციური პარტნიორის კომუნიკაციის ეფექტურობის ინდექსი 32
- პიროვნული და სიტუაციური შფოთვა - სპილბერგერის კითხვარი 34

შეჯამება 37

- დასკვნა 39

ბიბლიოგრაფია 40

დანართები 42

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება აფაზიის მქონე ადამიანის რეაბილიტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ამ პროცესში მისი კომუნიკაციური პარტნიორის განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს. ცნობილია, რომ აფაზია არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის კომუნიკაციური და ფსიქოსოციალური პრობლემა, არამედ მისი ოჯახისთვისაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ნაკვლევია აფაზიის მქონე პირების ოჯახების ცხოვრების ისტორიები საქართველოში - როგორ უმკლავდებიან ისინი არსებულ სიტუაციას, რა იცვლება მათ რუტინაში აფაზიის მანიფესტაციის შემდგომ, რამდენად აქვთ ინფორმაცია შესაბამისი სერვისების შესახებ, ან, ზოგადად, რა ცოდნა გააჩნიათ აფაზიის ირგვლივ.

აფაზიის დაბალი ცნობადობა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის დამახასიათებელი, თუმცა აქ ამას ემატება სერვისების სიმწირეც, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს კომუნიკაციური პარტნიორის ჩართვას აფაზიის თერაპიის პროცესში.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომლის მთავარი მიზანი იყო გამოევლინა კომუნიკაციური პარტნიორის ტრენინგის ეფექტურობა აფაზიის მქონე პირების რეაბილიტაციის პროცესში. ჩვენ ასევე ვისახავდით მიზნად - აფაზიის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და კომუნიკაციური პარტნიორებსა და აფაზიის მქონე პირებს შორის ურთიერთობის გაადვილების ხელშეწყობას.

კვლევის ფარგლებში შეფასდა კომუნიკაციური პარტნიორების ცოდნა აფაზიის შესახებ ტრენინგამდე და მის მერე, ასევე ორჯერ გაიზომა მათი პიროვნული და სიტუაციური შფოთვის ინდიკატორები, ჩაიწერა ოჯახის ცხოვრების ისტორიები აფაზიის პირობებში. ჩვენ მიერ მოდიფიცირებული კომუნიკაციის ინდექსის გამოსათვლელი კითხვარის საშუალებით შეფასდა კომუნიკაციური პარტნიორისა და აფაზიის მქონე პირის კომუნიკაციის ეფექტურობა კვლევის ორივე ეტაპზე.

Abstract

The thesis deals with one of the significant components of rehabilitation of persons with aphasia, namely – an exclusive role of communication partner in aphasia therapy. Nowadays, it is widely acknowledged that aphasia brings communication and psychosocial challenges not only to a person, experiencing it but for the whole family. In this regard, we looked into family live histories in Georgia – the ways of coping and changes in routines after aphasia manifestation. Also, we took an attempt to learn about the information they hold on aphasia, on the one hand and existing services, on the other.

Low awareness on aphasia is not only the case of Georgia, however here it is aggravated with scare service resources which intensifies the role and signification of communication partners' involvement into rehabilitation process.

The main purpose of study was to identify the effectiveness of communication partner training in the rehabilitation of people with aphasia. We also aimed to raise awareness on aphasia and facilitate communication between people with aphasia and their communication partners.

In the frame of given study, we assessed the knowledge of communication partners about aphasia before and after training, we measured twice their personal and situational anxiety indicators and also recorded family life stories in aphasia situation. The modified communication index questionnaire was used to evaluate the effectiveness of communication between communication partners and people with aphasia at both stages of the study – before and after training.